ცნობის ფურცელი

№ 2007 კვირა, 8 დეკემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 2007

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-72 №-რი.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

მომავალ წელს **„მოამბე“**-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Моамбе“** и **„Цнобисъ-Пурцели“**.

ლევან ანტონის ძე, ანტონ ნიკოლოოზის ძე და მარიამ მოსეს ასული ფურცელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი თავის საყვარელი მეუღლის, ხოლო დანარჩენი ორნი რძლისას

ანნა გიორგის ასულის ფურცელაძისას.

პანაშვიდები იქნება ამ თვის 8-ს დილის თორმეტ საათზედ და საღამოთი შვიდ საათზედ დიდი მთავრის ქუჩაზედ (წინად ნაზერეენია) როტინოვის სახლებში № 10. მიცვალებულის გასვენება ამ თვის ცხრას, ორშაბათს დილის 10 საათზედ ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოოზის ეკლესიაში და დაჰკრძალავენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ.

(2—1)

ცხინვალელ დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოწირულების შემკრები კომიტეტი აცხადებს,

რადგანაც კომიტეტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებულნი, რომელთა გაჭირვება ზამთრის დადგომისა გამო დღით-დღე ძლიერდება, აზრადა აქვს 18 იანვარს 1903 წელს გაჰმართოს ტფილისში საქველ-მოქმედო **ამერიკული ბაზარი საკონცერტო განყოფილებით.**

იმათ, ვისაც ჰსურს ფულად ან ნივთებით დახმარება, კეთილ-ინებონ და შეწირულებანი გაჰგზავნონ ერთ-ერთ ამ ადრესით:

სალამოს გამმართველს კნ. მ. თუმანოვისას (ბარიათინსკის ქუჩა, № 8), კომიტეტის წევრს ა. შტრეიხერს (გოლოვინის პროსპ. დობრჟანსკის ს.) „ნოვოე ობოზ.“-ს რედაქციას (ბარიათინსკ. ქ.) და „ტფილისის ლისტოკის“ რედ. (გოლოვინის პროსპ. № 3).

(3—მ.—3)

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა“

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში.

(6—5)

წარმოდგენა 21. ტელეფონი 617

✿ **იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✿

ქართული თეატრი

კვირას, 8 დეკემბერს, 1902 წელს

✦ მეცხრე **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა ✦

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦ **დაკლებულის ფასებით** ✦

I

ციმბირელი

კომედ. 4 მოქმ. ავ. ცაგარლისა.

II

მოტია

ვოდევილი 1 მოქმედებად რუსულიდან.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, გოცირიძე.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„ქარცეცხლი“**. **„მეჯვარის იღბალიანობითურთ“** (ვ. აბაშიძის საბენეფისოდ), **„გრიგალი“**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყუნწითის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზედ ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში;

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902/3 წლისა;

3) სარევიზიო კომიის მოხსენება;

4) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.

5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.

6) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.

7) მოხსენება დრამატიულ კურსების დაარსების შესახებ;

8) მოხსენება დასის მთელის წლით შენახვისა.

9) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრებისა.

(4—1)

წ ე რ ი ლ ე ბ ი

სოფლის სიპიროებათა შესახებ

IX

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის საყურადღებოდ

ქუთაისის გუბერნიის კომიტეტიც შეუდგა მეურნეობის გასაუმჯობესებელ საშუალებათა გამორკვევას და, როგორც თქვენი ქუთათური კორესპონდენტიც გაცნობებთ, ამ კომიტეტმაც ბევრი სხვა-და-სხვა საყურადღებო კითხვები აღძრა და საშუალება დაასახელა, მხოლოდ ერთი საშუალებისათვის, რომელსაც, ჩვენის აზრით, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმისათვის, არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. მე მოგახსენებთ ჩვენი სახალხო სკოლების ეხლანდელ უნუგეშო მდგომარეობაზე. ამიტომ ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ საგნის შესახებ და, იმედი გვაქვს, ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი სამეურნეო კომიტეტის წევრები.

ყოველ ქვეყანაში, სადაც კი მეურნეობა სასურველ მდგომარეობაშია, ერთს უმთავრესს პირობას ამ მიზნის მისაღწევად შეადგენს სწავლა-აღზრდის მდგომარეობა სახალხო სკოლებში. ასეთ ქვეყანაში ერთი რომ ისეთ სოფელს ვერ ნახავთ, რომელსაც საკუთარი სკოლა არა ჰქონდეს, სადაც 5—6 წელიწადი ემზადებიან ყმაწვილები, მეორე—სკოლა ყოველი მხრით ისეა მოწყობილი, რომ იქ სწავლა-დამთავრებულ ბავშვებს ადვილად შეუძლიანთ შეიგნონ და შეითვისონ ყოველივე, რასაც სამეურნეო სასწავლებლებში ასწავლიან. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა დაბალი ხარისხის სამეურნეო სასწავლებლებს მოსწავლეთა საჭირო კონტიგენტს უმზადებენ სახალხო სკოლები.

ეხლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ჩვენი სახალხო სკოლა?

ერთი რომ ჩვენში სოფელთა უმეტეს ნაწილს არავითარი სკოლა არა აქვს; მეორე, ის სკოლებიც, რომლებიც კი არსებობენ, სრულებით ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. ყველა ჩვენი სახალხო სკოლები შეგვიძლიან გავყოთ ორ რიგად: ერთ რიგს შეადგენენ ესრედ წოდებულნი სადირექციო სკოლები, მეორეს — სამრევლო სკოლები. ყველა ამ სკოლებში სწავლა ორს ან სამს წელს თუ სწარმოებს და ისიც წელიწადში რამდენსამე თვეს, როცა სოფლის ყმაწვილები მოცლილნი არიან, მაგრამ არც მაშინ დადიან განუწყვეტლად სიშორისა, სიცივისა, სიმშილისა და ავადმყოფობისა გამო. ამას გარდა სწავლა ყველა ამ სკოლებში, როგორც მოგეხსენებათ, პირველივე დღიდან, რაკი ყმაწვილი შედის, უცხო ენაზე სწარმოებს; მასწავლებლები უმეტეს ნაწილად მოუმზადებლები და გამოუცდელნი არიან. თვით სკოლები სრულიად არ არიან პედაგოგიური მხრით უზრუნველ-ყოფილნი; სკოლების სადგომები ისეთებია, რომ ზამთარში მოსწავლენი და მასწავლებლებიც სიცივით ჰკანკალებენ; შეგირდებს ხშირად არც სამოსელი აქვთ და არც საჭირო სასწავლო ნივთები; სწავლის დროს პარაზიტები მოსვენებას არ აძლევენ. თვით მასწავლებლებს ისე მცირე ჯილდო ეძლევათ, რომ ნახევარჯერ მშიერნი არიან, და რაც ეძლევათ, იმასაც თავის დროზე ვერ ღებულობენ.

ამის შემდეგ თავის-თავად ჩნდება კითხვა: შესაძლებელია განა ასეთმა სკოლებმა მოამზადონ სოფლელი ყმაწვილები 2—3 წელიწადს ისე კარგად, რომ შეიძლონ სამეურნეო სწავლის გაგება და შეთვისება და ისიც უცხო ენაზე? ჩვენ გადაჭრით ვამტკიცებთ, რომ ეს შეუძლებელია. ჩვენ სახალხო სკოლებში ნამყოფმა ბავშებმა არ იციან, როგორც რიგია, წერა-კითხვა არც თავიანთ დედა-ენაზე და არც იმ ენაზე, რომელზედაც სწავლა სწარმოებს! ნურც იმას ჰფიქრობთ, რომ იმათ რუსული ლაპარაკი შეეძლოთ. ერთი სიტყვით, ყოვლად შეუძლებელია, რომ ეხლანდელ სახალხო სკოლებს ჩვენში შეეძლოსთ მისცენ მომავალ სამეურნეო სასწავლებლებს მოსწავლეთა საჭირო კონტიგენტი.

მაშ რითი უნდა ეშველოს საქმეს?

უპირველეს ყოვლისა უნდა ვეცადნეთ, რაც შეიძლება სახალხო სკოლების რიცხვს მოემატოს; მეორე, სკოლებში სწავლა უნდა გაგრძელდეს 4—5 წლამდის მაინც; მესამე, მიუცილებლად საჭიროა თავდაპირველად მაინც, მანამ ყმაწვილები დედა-ენაზე წერა-კითხვას არ შეისწავლიან და, ცოტაც არის, გონება არ გაეხსნებათ, სწავლა ყმაწვილებისათვის გასაგებ ენაზე წარმოებდეს. ამას გარდა, რუსული ენის სწავლებას, უკეთუ უამისობა არ შეიძლება, პრაქტიკული ხასიათი უნდა ექნეს. მასწავლებლებად უსათუოდ უნდა სპეციალურად მომზადებული კაცები ინიშნებოდნენ და არა საქალაქო და სასულერო სასწავლებლებიდან დათხოვნილი ვაჟბატონები; თვით მასწავლებლები იმოდენ ჯილდოს მაინც უნდა იღებდნენ, რომ თავის რჩენა შეეძლოთ. სკოლებიც კარგად უნდა იყვნენ მოწყობილნი და ყოველ გვარი სასწავლო ნივთები საკმაოდ უნდა ჰქონდეთ მათ. ღარიბ ბავშებს საჭირო სასწავლო ნივთები უსათუოდ მუქთად უნდა ეძლეოდეთ.

უკეთუ სამეურნეო კომიტეტები იშუამდგომლებენ და მოახერხებენ, რომ ჩვენში სახალხო სკოლები ასე იქმნენ მოწყობილნი, მაშინ შეგვიძლია სრული იმედი ვიქონიოთ, რომ ამ სკოლებში სწავლა-დამთავრებულებს ადვილად შეეძლებათ განაგრძონ სწავლა

სამეურნეო სასწავლებლებში და რიგიანადაც შეითვისონ ყველაფერი, რასაც კი იქ შეისწავლიან. უამისოდ ძნელი დასაჯერებელია, სამეურნეო ცოდნამ ფეხი მოიკიდოს და გავრცელდეს იგი ხალხში.

[illegible]

ნახული და გაგონილი

(ხან წაკითხულიც)

X

ჩვენებური ახალგაზდობა

ამბობენ, ჩვენი სტუდენტობა კარგი ნაწილია რუსეთის უნივერსიტეტების ახალგაზდობისაო; სწავლაშიაც ნიჭსა და ცნობის მოყვარეობას იჩენენ და საამხანაგო ცხოვრებაშიაც გულადი, გამტანი და თავდადებული არიანო. ამიტომაც პროფესორებიც და რუსი სტუდენტებიც დიდის პატივისცემით ეპყრობიან ქართველ სტუდენტებსაო.

შესაძლებელია, რომ ასეც იყოს, გაგონილი სინამდვილეს შეეფერებოდეს, მაგრამ როცა ამ ნაქებ ახალგაზდობას სახლში ჩამოსულებს ვხედავ, ეჭვი მებადება და არ მჯერა, რომ უნივერსიტეტში მართლა ისეთები იყვნენ ჩვენები, როგორიც სჩანან.

სწავლა გათავდა, რა კი დიპლომი იგდო ხელში; არავითარი გონებრივი ინტერესი, არავითარი ცნობისმოყვარეობა; სახლში მეტწილად ვერც წიგნს და ვერც გაზეთს ვერ ნახავთ; სამი-ოთხის წლის განმავლობაში ჩვენი დიპლომიანი ახალგაზდა მხოლოდ იმით განირჩევა ჩვენებურ უდიპლომო და გაუნათლებელ ყმაწვილებისაგან, რომ რუსულს უფრო კარგად და მეტის სისწორით ლაპარაკობს; სხვა თუ რამ ჰქონდა შეძენილი, სულ ერთიან ჩამოერეცხა.

ეგ დროებითი მოვლენა არისო, მიხსნიდა ერთი ნაცნობი. ჩვენი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი მხოლოდ პირველი თაობაა ქართულ ინტელიგენციისა; კულტურულ ცხოვრებას, კულტურულ ზნე-ჩვეულების შეძენას რამდენიმე თაობა სჭირდება; ერთბაშად გაევროპიელება შეუძლებელია; ამიტომაც ხდება, რომ ჩვენი ინტელიგენტი რამდენიმე ხნის განმავლობაში ისევ „აზიელი" ხდება, კულტურულ ინტერესებს მოკლებულიო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ აქ სანუგეშოს ცოტას ვხედავ—თუ ჩვენი დიპლომიანი ასე ადვილად „აზიელდება", ქართველი ინტელიგენცია ხომ მუდამ პირველი თაობა დარჩება!

ასეთის „ნუგეშით" მარტო ბ. ვარიანელისთანა [1]) ღრმა პოლიტიკოსს შეუძლია გული გაიკეთოს: ქართველი მშობლები იმიტომ არ ასწავლიან თავიანთ შვილებს ქართულ ენასო, რომ ძველად ამ ენის დაცვას იმ თავითვე არ იყვნენ შეჩვეულიო. როდემდის უნდა გასტანოს ვარიანელის მიერ აღმოჩენილმა „არ შეჩვევამ"-? როდის ან როგორ უნდა ველირსოთ ინტელიგენციის მეორე, უკეთეს, თაობას?

გული, მისწრაფებანი რაღა იქნა? ნუთუ ეს თვისებებიც უნივერსიტეტში შეძენილია და რა-კი უნივერსიტეტში შეძენილია, ჩვენებურ, „აზიურ", პირობებში ვეღარ სძლებს, გულსა და მისწრაფებას ვკარგავთ?

* *

---

[1]) ვსწუხვარ, რომ უფრო არსებითად ვერ გამოვეკამათე ბ. ვარიანელს.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ეგრედ წოდებული „ნაციონალისტების" პარტია საფრანგეთის პარლამენტში ნამდვილი პარტია არ არის, რადგან არავითარი პოლიტიკური პროგრამა არა აქვს. „ნაციონალისტების" ერთად-ერთი შემაერთებელი ძალა არის მძულვარება ეხლანდელ მთავრობისა და „სკანდალის" სიყვარული აძულებულ მთავრობის დასამხობად. ისტორია „ნაციონალისტების" პარტიისა სკანდალების ისტორია არის. საერთო არჩევნების დროს კლერიკალებთან ერთად ნაციონალისტებიც სკანდალების გზას ადგა და ამითი გაიმარჯვა პარიზში. დაიწყო თუ არა ახალმა პარლამენტმა მოქმედება, ნაციონალისტები ისე სხდომას არ გაუშვებდნენ, რომ რამე დაბალი ინტრიგა არ დაეწყოთ, რომელიმე ჭუჭყიანი საქმე არ შეეთხზათ და ასეთის საშუალებით მთავრობისა და მის მომხრეების გასვრას არ სცდილიყვნენ.

პარლამენტის შემოდგომის სესიის უკანასკნელი დღე ტიპიურია საფრანგეთის ნაციონალისტებისათვის.

პარიზში სცხოვრობდა ემბერების ოჯახი. ემბერები მეტად ხერხიანი და გაიძვერა ხალხი იყო და ამ ხერხიანობითა და გაიძვერობით დიდძალი ფული დასტყუვეს გულუბრყვილო ხალხს. ბოლოს ყველაფერი გამომჟღავნდა, მაგრამ ემბერები საფრანგეთიდან გაიქცნენ და სადღაც მიიმალნენ.

„ნაციონალისტებმა", რასაკვირველია, შემთხვევა არ გაუშვეს, ემბერების საქმე ხელზე დაიხვიეს და მთელი ბრალი მთავრობას გადაადვეს: თუ ემბერები ამდენი ხანი ხალხს ატყუილებდა, მთავრობის ბრალია; თუ ემბერები საფრანგეთიდან გაიქცნენ და მიიმალნენ, მთავრობის დახმარებით მოხდა, რადგან თვით მთავრობაც არის გასვრილი მათ საქმეშიო.

საბუთი ასეთის საშინელ ბრალდებისა? „ნაციონალისტებისათვის" საბუთი საჭირო არ არის: დასწერენ გაზეთებში ასეთ ცილისწამებას, შემდეგ რომელიმე მათგანი პარლამენტის ტრიბუნაზე გაიმეორებს ამავე ცილის-წამებას, გამოიწვევს დეპუტატებ შორის დიდ მღელვარებას, შეტაკება-შეხეთქებას და სკანდალიც მზად არის. მეტი არც ნაციონალისტებს უნდათ; მათი ატმოსფერა, მათი ძალა ეს სკანდალი არის.

უკვდავ დონ-ბაზილიოს ნაციონალისტებისთანა მიმდევარი არა ჰყავს; ცილისწამების გავრცელება და გაზრდა მათი ხელობაა, რადგან იციან, რომ მუდმივ, განუწყვეტელ ცილისწამებისაგან ცოტა რამ მაინც დარჩება, ცოტათი მაინც გაისვრება ვინმე.

პოლიტიკური პარტია, რომელსაც ცილისწამება, ინტრიგა და სკანდალი გაუხდია თავის პროგრამად, სუსტი და უნიადაგოა, მაგრამ სანამ არსებობს, სანამ ამომრჩეველ ხალხს არ გამოუგდია იგი პარლამენტიდან, წმინდა წყალს ხშირად აამღვრევს, რომ შიგ თევზები იჭიროს.

მაკედონია. გუშინაც მოხსენებული გვქონდა, რომ ოსმალეთის მთავრობამ გამოსცა ირადე მაკედონიაში რეფორმების შემოღების შესახებ და თან ისიც დავუმატეთ, რომ ამ ირადეთი საქმე არ გაკეთებულა და არც ეხლა გაკეთდება. ბოლგარიის სამთავროს ოფიციოზური გაზეთი „ბოლგარია" სწერს ამავე საგანზე:

„ოსმალეთს არა ერთხელ გამოუქვეყნებია „რეფორმები", მაგრამ მათი განხორციელება არავის უნახავს. ამასაც რომ თავი დავანებოთ და საქმეს სხვა მხრივ შევხედოთ, ეხლა გამოცხადებული რეფორმა მაკედონიისა სრულებით ვერ ჰყოფს მაკედონიას უზრუნველად ოსმალეთის მთავრობის თვით-ნებობისაგან; უამისოდ კი შეუძლებელია მაკედონელ ქრისტიანების მშვიდობიანი განვითარება...

ჟანდარმებსა და სასამართლოს არ შეუძლიანთ წესი დაამყარონ და უზრუნველ-ჰყონ მართლ-მსაჯულების შეუსყიდველობა, მით უმეტეს, რომ ამ საქმისათვის არ არის გადადებული საჭირო თანხა. ჟანდარმები და მოსამართლეები „რეფორმის„ შემდეგაც მმართველებს ამოუდგებიან გვერდში მაკედონიის უმწეო ხალხის დასარბევად და დასაჩაგრავად"...

ოსმალეთის მთავრობის განზრახვაა ასეთის „რეფორმებით" მიაფუჩეჩოს მაკედონიის საქმე, მოატყუილოს ევროპა და მაკედონელებიო, ამბობს იგივე გაზეთი.

ევროპის დიპლომატია გუშინდელი ბალღი არ არის, რომ მისი მოტყუილება ასე ადვილად შესაძლებელი იყოს. ევროპის დიპლომატია კარგად იცნობს ბრწყინვალე პორტას პოლიტიკას და არც არა სჯერა ამ პოლიტიკის დაპირებისა. და თუ ამდენი ხანი დაპირებით, „ქაღალდის რეფორმით" კმაყოფილდებოდა, ეს იმიტომ, რომ თვით მისივე სურვილი იყო მოტყუებული ყოფილიყო, რადგან ნამდვილ საქმის დაწყება საშიშოდ მიაჩნდა — დაწყებით კი დავიწყებ, მაგრამ, ვინ იცის, რა მიმდინარეობას მიიღებს ერთხელ დაწყებული საქმეო.

ვერც მაკედონელები მოტყუვდებიან ოსმალეთის მთავრობის დაპირებით, რადგან მისი ფასი კარგად იციან, რაც მათ იაფად არ დასჯდომიათ. ამიტომაც არის, რომ ჯერ მაკედონიას იარაღი არ დაუყრია.

არც უნდა დაჰყაროს, თუ მოახერხებს, რადგან ისევ დასჭირდებათ ხელში აღება— ევროპა და ოსმალეთი მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას მაკედონიას, როცა იქ აჯანყებაა. მაკედონიის „ცეცხლი" მანამ არ უნდა ჩაჰქრეს, სანამ ევროპა სერიოზულ ღონისძიებას არ მოჰკიდებს ხელს. და რომ მოჰკიდებს, ამისი საბუთი „ცეცხლის" შიშია, როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი.

ახალი ამბავი

✦ როგორც უკვე ვწერდით, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ ამ ერთის თვის წინად გადასწყვიტა, გადასდოს 1000 მანეთი **ქართულს ენაზე ძველი თხზულებების გამოსაცემად**. ამას წინად თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. მელიქიშვილმა სთხოვა „ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების" გამგეობას, ეცნობებინა, იმისის აზრით, ამ ფულით რა თხზულებანი უნდა გამოიცეს. გუშინ-წინ საზოგადოების გამგეობამ შეატყობინა თავ. მელიქიშვილს, რომ კარგი იქმნება გამოიცეს ბ-ნ ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ჟურნალ „მოამბე"-ში დაბეჭდილი გუჯრები, კანონები საქართველოს მეფის ვახტანგ მე-VI სა და სპარსულიდან გადმოთარგმნილი პოემა „როსტომიანი."

✦ 6 დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზების სახელოსნოებთან უნდა გაეხსნათ **იაფფასიანი სასადილო** ხელოსანთა და მუშებისათვის, მაგრამ გადასდეს, რადგანაც სასადილო ჯერ მოწყობილი არ არის. ამ სასადილოში სადილი (ორი კერძი და ჩაი) ეღირება 15 კაპეიკად.

✦ 6 დეკემბერს, დილის 10½ საათზე, ტფილისიდან **პირველი სამგზავრო მატარებელი წავიდა ქ. ერევანში.**

✦ დღეს, 8 დეკემბერს, კარაკლისში **აკურთხებენ ეკლესიას**, რომელიც ააგეს ყარსისა და ერევნის რკინის გზის მოიჯარადრეებმა და ინჟინერმა ვურცელმა. შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ 7 დეკემბერს აკურთხებენო. გუშინ, 7 დეკემბერს, დილის 9 საათზე ტფილისიდან კარაკლისში საგანგებო მატარებლით წავიდა საქართველოს

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ერთის სატირის 200 წლის იუბილე.—
ორი წერილი „ნამდვილი მეგობრის"
შესახებ.—საკვირველი გაუგებრობა.—
ერთი ახირებული ამბავი.

უეჭველია, ბევრს ექნება გაგონილი შესანიშნავის „რობინზონ კრუზეს" ავტორის, დანიელ დეფოს სახელი, მაგრამ ძლიერ ცოტამ იცის, ალბად, რომ დანიელ დეფო (1661—1731 წ.წ.) იყო თავის დროის გამოჩენილი პოლიტიკური მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

დანიელ დეფო სცხოვრობდა მაშინ, როდესაც ინგლისში გამწვავებული ბრძოლა იყო ატეხილი სარწმუნოებრივ ნიადაგზე ძველსა და ახალს მიმართულებას შორის, იმ ახალს მიმართულებასა, რომელიც სინიდისის თავისუფლებით გზას იკაფავდა დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ. დეფო იყო დისსენტერი, ე. ი. ეკუთვნოდა იმ სექტას, რომელიც არ ეთანხმებოდა სახელმწიფო ეკლესიას და ამიტომ დევნილი იყო მთავრობის მიერ. მოუსვენარი დეფო თუ სიტყვით, თუ კალმით, თუ მოქმედებით მუდამ ჰკიცხავდა და პროტესტს უცხადებდა მთავრობის უმრავლესობას. ბევრჯერ იჯდა დეფო სატუსაღოში, ბევრჯერ იყო მიკრული სამარცხვინო ბოძზე, ათასნაირს შევიწროვებას და გაჭირვებას ითმენდა მისი ცოლშვილი, მაგრამ იგი არა სცხრებოდა და მწარე პამფლეტებით და სატირებით სიცოცხლეს უწამლავდა მოწინააღმდეგეებს.

სწორედ ორასის წლის წინად, 1702 წლის დამლევს, როდესაც გაბატონებული ეკლესია მზად იყო ყოველიგე მოქალაქობრივი უფლება წაერთმია დისსენტერებისათვის და ამის პროექტი შეიტანა პარლამენტში, დანიელ დეფომ გამოსცა თავისი საუკეთესო სატირა სახელად „როგორ უნდა მოვიშოროთ დისსენტერები". სატირა ნამდვილ ყუმბარასავით გავარდა. იგი დაწერილი იყო იმნაირად, რომ ვერავინ ვერ იფიქრებდა, თუ შიგ რამე სატირული იყო. ავტორი სწერდა, როგორც უკიდურესი მომხრე სახელმწიფო (ანგლიკანურ) ეკკლესიისა და „გულწრფელად" ურჩევდა მთავრობას, რომ ერთად-ერთი საშუალება იმისათვის, თუ როგორ უნდა განვითავისუფლოთ თავი დისსენტერებისაგან, არის პირდაპირ ამოჟლეტა მათიო. სატირა ხელმოწერილი არ იყო, და ყველას ეგონა, რომ მისი ავტორი ანგლიკანების ბანაკს ეკუთვნოდა. სახელმწიფო ეკკლესიის სამღვდელოება აღტაცებული იყო სატირის მართლ-მორწმუნე აზრებით; ეკკლესიებში ურჩევდნენ და უქადაგებდნენ ხალხს, უთუოდ წაიკითხეთ ეს ახალი თხზულებაო. ერთი სულიერი მამა სწერდა თავის მეგობარს: „დაბადების შემდეგ ეს საუკეთესო წიგნია და სრულიად ვეთანხმები ავტორის აზრს, რომ ღმერთმა კეთილ ინებოს და ჩააგონოს ჩვენს მეფეს, რათა ყველა დისსენტერი მოკლულ იქმნასო".

მაგრამ მალე გაიგეს, თუ ვინ იყო ახლად გამოსულის წიგნის ავტორი, და მაშინ ყველა მიხვდა, რომ „როგორ უნდა მოვიშოროთ დისსენტერები" იყო მხოლოდ მწარე სატირა და დაცინვა. იმავე ეკკლესიებში გაისმა ეხლა წყევა და კრულვა დანიელ დეფოს წინააღმდეგ; გამოცხადებულ იქმნა 500 მანეთის ჯილდო იმისათვის, ვინც შეიპყრობდა „საზიზღარს პამფლეტისტს"; თვითონ სატირა-კი საჯაროდ დასწვეს ცეცხლში...

დანიელ დეფო მეტად საყვარელი მწერალია, მისი მოგონება ყველასთვის სასარგებლოა და მეც ამიტომ აღვნიშნე ორასის წლის თავზე ერთი საინტერესო მოვლენა მისის ცხოვრებიდან.

* *

წარსულს კვირას მკითხველს დავპირდი „ნამდვილ მეგობრის" წერილის შესახებ მოლაპარაკებას. ამ საგნის გამო უმორჩილესად გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი წერილები, რომლებიც მომივიდა სხვა-და-სხვა პირებისაგან:

წერილი პირველი (ასოთ-ამწყობისაგან)

„ბ. სიტყვა! თქვენ მოიყვანეთ წარსულის კვირის ფელეტონში ვიღაც „ნამდვილ მეგობრის" ნასულელევი წერილი. ჩემის აზრით, გაზეთში დასაბეჭდი არ იყო ეგ წერილი; მაგისთანა საზიზღარი წერილები გოდორში ჩაგდების ღირსიც არ არის. რამდენადაც მე გიცნობთ, თქვენ არ თანაუგრძნობთ იმ „ნამდვილ მეგობრის" აზრებს, მაგრამ რაკი მისი წერილი დაბეჭდეთ, საჭირო იყო შესაფერი პასუხიც გაგეცათ მისთვის..."

წერილი მეორე (აქტიორისაგან)

„ბ. სიტყვა! „ცნობის ფურცლის" 1993 №-ის ფელეტონში თქვენ მოათავსეთ ვიღაც „ნამდვილის მეგობრის" წერილი (რომელიც, შეიძლებოდა, არ დაბეჭდილიყო) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს პროგრესიული ნაწილი ჩვენის ხალხისა, ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოთ. ავტორი მოკლედ გვიჭრის სამართალს და გვირჩევს, ხელი ავიღოთ ენასა, მწერლობასა და ისტორიაზე და გადავგვარდეთ; ვინც ამ გადაგვარებას ხელს შეუწყობს, იგი ნამდვილი პროგრესისტიაო და ჩვენი გადაგვარება ჩვენივ განახლება და აღორძინება იქნებაო.

„დიდებული და სამაგალითო მამულისშვილი კარდინალ რიშელიე, როცა მოკეთენი აფრთხილებდნენ—შინაური მტრები მოკვლას გიპირებენო, შეურყეველის რწმენით იტყოდა ხოლმე: „ჯერ ქვეყნად არ გამოჩენილა ისეთი ქვემძრომი, რომელიც მშობელს სჭამდესო!" და მართლაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ ჯერაც არ იცის ისეთი ჯოჯოხეთური საზიზღრობა, მაგრამ „ნამდვილის მეგობრის" წერილმა წინააღმდეგი დაგვიმტკიცა...

„ნამდვილი მეგობარი" იმის გარდა, რომ ადამიანობის მცნებებს ღალატობს, ლოღიკურ მსჯელობის წინააღმდეგიც არის...

„ახალმა ისტორიამ არ იცის ერთა გადაგვარება. ცხოვრებას დამოუკიდებელ ადამიანისაკენ მივყევართ და სადაც არის დამოუკიდებელი ადამიანი, იქ არის ერიც... ეროვნება ადამიანისათვის ჰაერია, ურომლისოთ მის სისხლს არ შეუძლია მოძრაობა და ეროვნების მოსპობა რომელისამე ადამიანისათვის იქნება თვითონ ადამიანის მოსპობა...

„მაგრამ განა მეცნიერული მოსაზრება ალაპარაკებს „ნამდვილ მეგობრებს"? არა! მხდალნი არიან ეს ვაჟბატონები, სულით და

ექსარხოსი. ექსარხოსს თან 25 მღვდელი და მგალობელთა გუნდი ახლავს. საღამოს 8 საათზე საგანგებო მატარებელითვე წავიდნენ კარაკლისს ტფილისის გუბერნატორი და ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენრები.

◆ ქარხნებისა და ფაბრიკების საგუბერნიო **ინსპექტორი ბ-ნი ხელიმსკი**, როგორც შევიტყეთ, შიდა რუსეთისაკენ გადადის სამსახურში.

◆ გუშინ-წინ ქალაქის **სკოლათა მმართველთ საერთო კრება ჰქონდათ** სკოლათა გამგე კომისიის ი. ს. ალიხანოვის თავმჯდომარეობით. კრება იმის განხილვაში იყო, როგორი დროს გატარება გაუმართონ მომავალ შობა-ახალ წლის დღესასწაულებში ქალაქის სკოლებში მოსწავლეთ. ქალაქს ამ საჭიროებისათვის გადადებული აქვს 150 თუმანი და ეს ფული კრებამ ასე გაანაწილა: 30 თუმნით ფარანი შეიძინონ სურათების საჩვენებლად, ათ-ათი თუმანი სახელოსნოსა და ქალთა საპროფესიონალო სასწავლებლებს მიეცეს; 15 თუმნით შეიძინონ „შობის ხე“ და ამის მოწყობილობა ყველა პირველ-დაწყებით სკოლისათვის, რომელთა რიცხვი 18-ია. დღესასწაული გაიმართება გამგეობის სადგომში და ყველა სკოლები სამ ჯგუფად იქნება დაყოფილი, სამ-სამი სკოლა თითო მოსვლაზე. ყმაწვილებისათვის საჩუქრებისა და ტკბილეულობის დასარიგებლად და სხვა გასართობებისათვის დაიხარჯება დანარჩენი 85 თუმანი. ნაანგარიშევი აქვთ, თითო მოსწავლეზე ორი აბაზი დაიხარჯება.

◆ დღეს საღამოს **ქალაქის საკრედიტო საზოგადოების** მეორე ხარისხის მესხებელთა კრებაა დანიშნული 24 რწმუნებულის ასარჩევად.

◆ დღეს, 8 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება კრება ტფილისის **ხელოსანთა და ამქართა დეპუტატებისა**. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს მოხსენება დეპუტატის გროსისა ახალის გადასახადის შემოღების შესახებ.

◆ **სადგურ გელათიდან გვატყობინებენ:** ტყვიბულის შტოს მე 20 ვერსზე 7 დეკემბერს, დილის 4 საათზე, ჩამოწვა ქვის ზვავი, რის გამო გზა შეიკრა. გზის გაწმენდას სამ დღეს მაინც მოუნდებიან.

◆ ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექტორად ყოფილმა ბ-ნმა რომიმ, როგორც ვიცით, კონცესსია მიიღო ქალაქისაგან **მთა-წმინდაზე ფუნიკულერის მოსაწყობად**. ერთ დროს დიდი მოძრაობა გამოიწვია ამ საქმემ, ბევრი მიაწყდა მთაწმინდის ხრიოკებში ადგილების შესაძენად, მაგრამ აქამომდე ეს საქმე ჯერ კიდევ მიჩუმებულია. კონცესიი ვადა ბ ნ რომის მომავალ წლის 7 მარტს უთავდება; ამიტომ ქალაქის გამგეობა შეჰკითხებია რომის, გნებავთ თუ არა კონცესიის ძალით თქვენი პირობა აასრულოთ და მთაწმინდაზე ფუნიკულერი გაჰმართოთ და როდის შეუდგებით ამ საქმესაო.

◆ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს სათხოვარი მოჰსვლია **სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებისაგან:** ისეთი განკარგულება მოახდინეთ, რომ აღარ შეგვავიწროონ იმ ტყიან ადგილების სარგებლობის დროს, რომელიც ჩვენს ნადელებად ითვლებაო. ეს საჩივარი გამოუწვევია სახაზინო ტყის გამგებლის მოქმედებას, რომელიც უშლის თურმე იმ ადგილის ხმარებას ტყეში, რაც განსაკუთრებით საძოვრად აქვთ მცხოვრებლებს მიჩენილი.

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა თავისს წევრს ტ. ენფიანჯიანცს, საბოლოოდ შეიმუშავეთ **პროექტი** იმ პირობისა, რომელიც ქალაქსა და სოლოლაკის მთაში გვირაბის გამყვანთ ინჟენერთ ბრაილოვსკისა და ხატისოვს შუა უნდა იქმნეს დადებულიო. ამ პირობაში, სხვათა შორის, ისიც იქმნება მოხსენებული, რომ თუ ქალაქი მოისურვებს ამ კონცესსიონერების საქმის გამოსყიდვას, 12 ათას თუმანზე მეტს არ გადაიხდის, თუნდაც მეტად დაუჯდეს იგი.

◆ აი **როგორ აძლევენ თვალ-ყურს** ქალაქის ქონებას: თეატრის ვიწრო ქუჩაში თავ. ორბელიანს ქუჩის მცირე ადგილი შეუკავებია თავისთვის. ქალაქის გამგეობას შეუტყვია ეს ამბავი და დაუვალებია ქალაქის ვექილის თანაშემწისათვის, საჩივარი დაუწყეთ თავ. ორბელიანსაო. ვექილის თანაშემწეს ბ-ნ ქანანოვს საქმე შეუსწავლია და მოუხსენებია გამგეობისათვის: ქალაქს ნება არა აქვს საჩივარი დაიწყოს, რადგან ამისათვის დანიშნული 6 თვის ვადა გათავდა კიდეცაო.

◆ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის იურის-კონსულტის თანაშემწემ წარუდგინა გამგეობას ანგარიში ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებისა. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, საბჭოს ექიმებისა და სავაჭრო პოლიციის აგენტებს სანიტარო წესის დარღვევისათვის სასამართლოებში აღუძრავთ სულ 86 საქმე. გაურჩევიათ 36 საქმე. 30 კაცი დაუჯარიმებიათ მოსამართლეებს 1 მანეთიდან 50 მანეთამდე სანიტარულ წესის დარღვევისათვის, ხოლო 6 კაცისათვის გადაუწყვეტიათ 1 დღიდან 2 კვირამდე დაპატიმრება.

◆ ხმოსნის არშაკ ბუდღანოვ-ბაღდასაროვის საქმე დანიშნულია განსახილველად 21 დეკემბრისთვის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან. როგორც გვქონდა აღნიშნული, ბაღდასაროვს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველი ირაკლი ფურცელაძე უჩივის ცილის დაწამებას.

◆ 6 დეკემბერს, საღამოთი, ქუთაისში გაღმა ვაჭარს ფირანას თავს დაეცნენ ნესტორ და ფილიპე მორგედაშვილები. მორგედაშვილებმა რამდენსამე ადგილას დასჭრეს ვაჭარი და სადღაც დამალნენ.

◆ განჯიდან გვწერენ: 5 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუსუსლის სადგურის მახლობლად სამი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა რკინის გზის ლიანდაგზე მიმავალ სათადარიგო ჯარის უნტერ-აფიცერს ლომოვს. ერთ ყაჩაღს წაუქცევია ლომოვი, მეორეს წაურთმევია პალტო, პიჯაკი, შარვალი, წაღები და ბილეთი. შემდეგ სადღაც მიმალულან.

◆ 6 დეკემბერს ტფილისის სადგურზე კონდუქტორმა პეტრე გუდკოვმა მოიწადინა მიმავალ მატარებელზე ასვლა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა, ვაგონებს შუა მოჰყვა და დაშავდა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

პრესსა

„ნოვოე ვრემია“ არკვევს საყურადღებო საკითხს, თუ რით უნდა იქმნას აღნიშნული რუსეთის პრესსის 200 წლის იუბილეი. გაზეთის აზრით,

> ერთად-ერთი ღონისძიება, რომლითაც შეიძლება ღირსეულად აღინიშნოს რუსულ პრესსის 200 წლის არსებობის იუბილეი, არის—დაუყოვნებლივ გადაისინჯოს არსებული კანონები ბეჭდვითი სიტყვისა (1865 წლის საცენზურო წესდება); ასეთი გადასინჯვა მით უფრო საჭიროა, რომ აწ არსებული კანონები ბეჭდვითი სიტყვისა არა თუ დაძველდა, არამედ კიდეც შეცვალა სხვადა-სხვა დროს გამოცემულ „დროებითი წესებით“.

შემდეგ სუვორინის გაზეთი ჰკითხულობს: მომწიფდა თუ არა რუსის საზოგადოება იმდენად, რომ შეიძლებოდეს პრესსას შეღავათი მიენიჭოს და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დამყარდესო? ამ საკითხის გამო გაზეთი სწერს:

> ამ საკითხზე პასუხის გება შეიძლება შემდეგის შედარებით: როდესაც ომის შემდეგ რუსეთმა დააწესა ბულგარიაში სახელმწიფო მმართველობა,—იმ ბულგარიაში, რომელსაც რუსულ ლიტერატურისთანა ლიტერატურა არც დასიზმრებია და რომლის კულტურა რუსეთის კულტურაზე ბევრად უფრო დაბლა სდგას,—რუსეთის მთაერობამ თვით მოითხოვა და დააწესა ბულგარიაში პრესსის თავისუფლება. ბულგარიის ბეჭდვითი სიტყვის წესდების მე-35 მუხლი ამბობს: „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის პრესსის საქმეების გამგებლობა და თვალ-ყურის დევნა ევალება სასამართლოს-სააპელაციო განყოფილებას (ჩვენებურად სამოსამართლო პალატას), როგორც პირველ ინსტანციასა და საკასაციო უმაღლეს სასამართლოს, როგორც მეორე ინსტანციას“. კანონის შემდეგს მუხლებში აღნიშნულია, რა და რა სასჯელი (დაპატიმრება და ჯარიმა) უნდა მიესაჯოს ჟურნალ-გაზეთებს, როდესაც ისინი შეურაცხჰყოფენ ან დანაშაულობას ჩაიდენენ მთავრობისა, მმართველთა და კერძო პირთა წინააღმდეგ.
>
> უეჭველია, რუსული პრესსა ღირსია იმისა, რომ ბულგარიის პრესსაზე უარეს მდგომარეობაში მაინც არ იყოს ჩაყენებული. რუსულმა პრესსამ ეს დაიმსახურა თავის ერთგულისა და მართალის სამსახურით სახელმწიფოსა და ერის წინაშე. ცხოვრების ყველა მძიმე მომენტებში რუსულ პრესსას მხურვალე და თავდადებული სამსახური და დახმარება გაუწევია მთავრობისათვის.

თანაც „ნოვ. ვრ.“-ს მოჰყავს საინტერესო ადგილები ცნობილ კატკოვის წერილიდან „პრესსის თავისუფლების შესახებ“ („მოსკოვ. ვედომ.“ 1867 წ.) კატკოვი თურმე სწერდა:

> არიან კიდევ ადამიანები, რომელთაც გული მოსდით, როდესაც გაიგონებენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს პრესსა გაანთავისუფლოს. არია ადამიანები რომელნიც ვითომდა კონსერვატიზმის სასარგებლოდ გაიძახიან რუსის საზოგადოება ჯერ არ მომწიფებულა და ვერ ისარგებლებს პრესსის შეღავათითო! ღმერთო ჩემო! როდეს-ღა გაიფანტება ეს ბურუსი, რომელიც კეთილ საიმედო პირთაც უბნელებს თვალებს?! ჩვენ არა კონსერვატულს ჟურნალებშიაც წაგვიკითხავს ის აზრი, ვითომც რუსის საზოგადოება მოუმზადებელია ჯერ. მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობა, ერთის მხრით, და ბოროტგანზრახული ვერაგობა, მეორეს მხრით, ავრცელებენ იმ მავნებელ აზრს, ვითომც რუსის საზოგადოებას არ დაუმსახურებია დამოუკიდებელი და თავისუფალი პრესსა!..

სასამართლო

რომანტიული ისტორია და მკვლელობა

1900 წელს, 14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, ნახიჩევანის მაზრის უფროსთან მიურბენია ორდუბათის მომრიგებელ შუამავლის ნიკოლოზ იპოლიტეს ძის რომანოვსკის მზარეულს, არუთინ მარქაროვს და უთქვამს, „ბატონმა მოჰკლა ქალბატონიო“. მარქაროვს ესევე განუცხადებია გამომძიებლისა და ნახიჩევანის მაზრის ექიმისათვის. ხუთის წამის შემდეგ საგარეო ტანისამოსში გამოწყობილი რომანოვსკი მისულა მაზრის უფროსთან და დაუწყია ლაპარაკი. ლაპარაკის დროს ენა ებმოდა თურმე. რომანოვსკის ისე ეჭირა თავი, თითქოს მთვრალი ყოფილიყოს. როცა მაზრის უფროსს უთქვამს, რაშია საქმე, ექიმი ხომ არ არის საჭიროო? რომანოვსკის უპასუხნია, არა, იგი მოკლულიაო. შემდეგ რომანოვსკის უთქვამს, რომ დესკოვის ქალმა თავი მოიკლაო. რომანოვსკის ყოფაქცევა საეჭვოდ სჩვენებია მაზრის უფროსს და ოფიციალურის კილოთი განუცხადებია, საჭიროა წავიდეთ, გავიგოთ რაშია საქმეო. რომანოვსკის უკმეხად უკმაყოფილება გამოუცხადებია, გამოსულა გარედ და, რაც ძალი და ღონე ჰქონია, გაქცეულა. უკან გამოსდევნებია მურავიოვი, დასწევია და დაუჭერია. როდესაც რომანოვსკის ბინაზე მისულან, მომრიგებელ-შუამავალს მიუთითებია გაცივებულ გვამზე

ხორცით დაცემულნი, მათში აღმოფხვრილია ყოველი საზოგადოებრივი მისწრაფება, თავის სიმხდალეს და ანგარებას ისინი პრინციპად აღიარებენ, არა მარტო საკუთარ ცხოვრების პრინციპად, არამედ საზოგადოებრივ პრინციპად, რომელსაც საჯაროდაც კი გვიქადაგებენ!... ამაზედ უდიდესი სულის სიმახინჯე წარმოუდგენელია!...“

როგორც მკითხველი ჰხედავს, წერილის ავტორები არამც თუ პროტესტს აცხადებენ „ნამდვილის მეგობრის“ აზრების წინააღმდეგ, არამედ საყვედურსაც მეუბნებიან იმის გამო, რომ ისეთი აზრები მოვათავსე ჩემს ფელეტონში. ასეთი საყვედური მარტო ამათგან არ მესმის. ახირებული აზრები დაბადა ჩვენს საზოგადოებაში ზემოხსენებულმა წერილმა. ზოგიერთები ისეთის უნდო გონებისანი გამოდგნენ, რომ ჰგონიათ, ვითომც ჩემი საკუთარი შეხედულება იყოს „ნამდვილ მეგობრის“ აზრები; ზოგიერთებმა იციან, რომ ეს ასე არის, მაგრამ მაინც არ უნდა დაგებეჭდათო ასეთი წერილიო; არიან ისეთებიც, რომელთაც მშვენიერად იციან, რომ მე მთელის არსებით „ნამდვილის მეგობრის“ მსგავს აზრებს ვებრძვი, მაგრამ მაინც რაღაც ბოროტ განზრახვით ხმას ავრცელებენ, რომ მე „ნამდვილ მეგობარს“ ვეტრფიალები და მისი რწმენა ჩემი საკუთარი რწმენაა.

სწორედ მოგახსენოთ, მე სრულებით არ მოველოდი ასეთს გაუგებრობას ჩვენის ზოგიერთ მკითხველებისაგან; ძლიერ სამწუხაროა ასეთი გაუგებრობა. მაგრამ წინდაწინვე დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი ამაში, მაინც აუცილებლივ დავბეჭდავდი „ნამდვილი მეგობრის“ წერილს, დავბეჭდავდი, რადგან რულიად არ მეშინია, რომ იგი ვისმე შეაცდენს და გადაგვარების გზაზე დააყენებს...

ის პირები, რომლებიც საყვედურით მომმართავენ დღეს მე, კარგად იცნობენ „ნამდვილ მეგობრებს“, ყოველდღე ესმით მათი აზრები, მხარს უჭერენ ხშირად მათ, მის მაგიერ, რომ გადუდგენ და საჯაროდ დაჰგმონ მათი სიტყვა და საქციელი! და როდესაც მე მწერლობაში ვხატავ ასეთ „მეგობრებს“, მინდა ყველას ვაგრძნობინო მათი მოწამლული აზრი,—მე მკიცხავენ ამისათვის?...

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თუ ვინმე ცუდად ხედავს, მე ვერ ვიქნები ამის პასუხის მგებელი!

ვისაც კი ბოროტი განზრახვა აქვს, მას ერთხელ კიდევ ვეტყვი: რომ ჩვენს აზრებს ყოველთვის პირდაპირ ვამბობთ, არასოდეს არ მივმართავთ „ნამდვილ მეგობარს“ და როდესაც რასმე ვიტყვით, მეორე ოთახში არ გავძვრებით, კარების უკან არ დავიმალებით და არ გადავთქვამთ ნათქვამს! ჩვენ შეგვწევს იმდენი სიმხნევე, რომ პასუხი ვაგოთ საკუთარის სიტყვებისათვის!...

**

როგორც მე პირადად, ისე ჩვენს გაზეთს საზოგადოდ არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი ერის შესახებ: ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენთვის ერი და ენა არის conditio sine qua non, თუმცა ჩვენი ეროვნული პრინციპი განსხვავდება ჩვენის მამების და ზოგიერთის დღევანდელის შოვინისტების პატრიოტობისაგან.

ამიტომ მეტად მიმაჩნია აქ ამაზე დაპარაკის გაგრძელება, მხოლოდ აღვნიშნავთ ერთს კურიოზულს ამბავს, რომელიც მოჰყვა, სხვათა შორის, შედეგად „ნამდვილის მეგობრის“ წერილის დაბეჭდვას ჩემს ფელეტონში.

ერთი პატივცემული პირი ბ. X ისე გამიჯავრდა იმ ფელეტონის გამო (გამიჯავრდა, რადგან ბოროტად გაიგო იგი), რომ აღარ მიველის თავის სალამის ღირსად. აღშფოთებული მაღალის „პატრიოტულის“ გრძნობებით და სახლში და გარეთ, კერძოდ თუ საჯაროდ, ნაცნობს თუ უცნობს იმას უცხადებს, რომ მე თავს აღარ ვუკრავ **ხოლმეო**. ეტყობა, ღრმად დარწმუნებულია, რომ მისი თავის დაკვრა ისეთი დიდი მოვლენაა, რომ დეპეშებით უნდა ემცნოთ საქართველოს ყოველს კუთხისათვის იგი, და თუ ასე არ მოხდა, ალბად იმიტომ, რომ დეპეშათა სააგენტო ქართველების ხელში არ არის. მიკვირს კი, გაზეთებმა მაინც რად არ გამოაქვეყნეს ეს შესანიშნავი ამბავი!

რამდენადაც მართლა საქვეყნო ამბავია ეს კურიოზი, იმის განსჯა სხვებისათვის მიმინდვია. მე კი მოვახსენებ პატივცემულ X ს: სრულიად გულდინჯად და დამშვიდებით მივიღე მისი რისხვა. მისი ნებაა, გინდ დამიკრას თავი, გინდ არა, ისე როგორც ჩემი ნებაა, მინდა დავუკრავ თავს, მინდა არა. პირადათ მისი თავის დაკვრა არც არაფერს მიმატებს, არცა რას მაკლებს.

მერე რისთვის! იმიტომ, რომ მისმა გონებამ ვერ გაიგო ჩემი სიტყვები, ან უკეთ, არ უნდოდა გაეგო? თუ მიტომ, რომ ამ პირისებური შეხედულობა არა გვაქვს, ამაზე ადვილი რაღაა, „ვინც ჩვენ არ გვეთანხმება, ე. ი. ვინც ჩვენ ვიწრო კალაპოტზე არ არის გამოჭრილი, იგი ქვეყანას ძირს უთხრის და, რასაკვირველია, ჩამოხრჩობის ღირსია“.

ასე ჰფიქრობდნენ ყველგან მამები; ასე ჰფიქრობენ ჩვენი მამებიც. ვინც მათ „ათ მცნებას“ არ აღიარებს, ან გიჟად სთვლიან, ან უზნეო ადამიანად. რისთვის გამიჯავრდა ზემოხსენებული პირი? მიტომ რომ არ ვლაპარაკობთ მისის შაბლონურ ენით და საზოგადოდ არ აღვიარებთ მისებურ უსულო აზრებს ერის შესახებ.

ჩვენს მამებს თავი მოსწონთ იმით, რომ ენა და სხვა ეროვნული ელემენტი დაიცვეს. ძნელია იმის უარყოფა, რომ აქ მართლაც დიდი სამსახური მიუძღვის მათ. მაგრამ არც წინად და არც ახლა ესმით ჩვენს მამებს, რომ მათი ეროვნული შეგნება ფორმალური შეგნებაა, უსიცოცხლო, უსულო, მათი ერი თუ არ განვითარდა, ადამიანად დაიხრჩობა.

კარგად ვიცი, რომ ახალს თაობას, რომელიც აღიზარდა შეჯერებულის ცხოვრების ატმოსფეროში, ამ თაობას ბევრი რამ ნაკლულევანება აქვს, მაგრამ ყოვლად უეჭველია, რომ ამ ახალთაობამ შეიტანა ეროვნულ პრინციპში ზნეობრივი ელემენტი, სიცოცხლე და დაუდვა მას უფრო ადამიანური საფუძველი.

ამ უთანხმოების ნიადაგზე ხშირად მომხდარა და კიდევ მოხდება ძველსა და ახალს თაობას შორის შეტაკება; ამ ნიადაგზე იბადება ისეთი კურიოზები, რომლის ერთი მაგალითი მე მოვიყვანე აქ, თუმცა ჩემს მაგალითში, ალბად, გარდა საზოგადო მიზეზისა ხსენებულის პირის პირად თვისებებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გულგრილად უთქვამს პოლიციელთათვის: „აი, ან მე მოვჰკალი იგი, ან და თითონ მოიკლა თავიო". ლესკოვის ქალს ტყვია გულში ჰქონია მოხვედრილი. გვამი ეგდო სასადილო ოთახში, სტოლთან, იატაკზე, სისხლში ამოსვრილი.

გამორკვეულა შემდეგი: 1896 წლამდე რომანოვსკი პეტერბურგში სცხოვრობდა თავის კანონიერ ცოლთან 12 წლიწადს; იმასთან 3 შვილიც ჰყოლია. როგორც თვით რომანოვსკისაც გაუცხადებია, იგი ამხანაგებთან ერთად ნაშუადღევის 4 საათიდან მთელს ღამეებს ღვინის სმაში ატარებდა თურმე. 1896 წელს რომანოვსკის გაუცვნია ახალგაზრდა ქალი, კურსებზე ყურის მგდებელი მარიამ ალექსანდრეს ასული ლესკოვი. ახალგაზრდა ქალს რომანოვსკი შეჰყვარებია. თავის დღიურში, სხვათა შორის, სწერდა თურმე: „მფარველ ანგელოზად უნდა გაუხდე ამ ახლად მოვლენილს გენიოსსაო". არ გასულა დიდი ხანი, რომ რომანოვსკი და ახალგაზრდა ქალი დაახლოვებულან. ამ დროს ცოლი სოფლად ყოფილა და როდესაც დაბრუნებულა, რასაკვირველია, ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნება ჩამოვარდნილა, მით უმეტეს, რომ ლესკოვის ქალი ფეხ-მძიმედ ყოფილა. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ რომანოვსკის ცოლ-შვილისთვის თავი მიუნებებია და ლესკოვის ქალთან ერთად კავკასიაში წამოსულა. რაც რამ გააჩნდა ლესკოვის ქალს, რომანოვსკის გაუფლანგვია, ლიტერატურულ შრომისათვის თავი მიუნებებია, სამსახურში შესულა და უწინდელებრ ქეიფს შესდგომია.

ამ დროს ლესკოვის ქალს აი რა ჩაუწერია დღიურში: „მე აღფრთოვანებული ვიყავი იმედებით; დიდის სიხარულით გაჩუქე ჩემი სიცოცხლე, ჩემი თავი ამ კაცს, რომ ხელი შემეწყო იმის გენიოსობის ასამაღლებლად, იმის ნიჭის გასაფართოვებლად... ვწერ ეხლა იმიტომ, რომ მოლოდინის დრო შევიმოკლო. ვუცდი იმ კაცს. ერთის წამის შემდეგ მოვა არყით საზიზღრად გალეშილი, რომ სიცოცხლე მომისწრაფოს. მე დავღუპე ჩემი სიცოცხლე ამ მაწანწალა ლოთის კაცისათვის, რომელიც, როგორც ყველა სხვა „ჩინოვნიკი", მხოლოდ არაყზედა ჰფიქრობს. ყველაფერს მოვკლდი ცხოვრებაში ამ მეცელ-ღმერთის გულისათვის; იმას თავის თავის მეტი არავინ ახსოვს. იმდენი შეურაცხება და შეწუხება გამოვცადე ამ ორის წლის განმავლობაში, რომ ჩემი გრძნობა მისადმი სრულიად მიჩლუნგდა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რატომ არ გავიქეცი?". შემდეგ იქვე სწერია: „მე ვიცი, ეს სცენები დიდ ხანს გაგრძელდება, გუშინ დაუკერებელ გალსტუხისათვის, ხვალ ფოლაქის მიუკერებლობისა გამო... მაგრამ რა ვქნა? დავიღალე. მლანძღავენ, მათრევენ უშვერის სიტყვებით, რაც ჩემს სიცოცხლეში არსად გამიგონია. მაგრამ ძალიან დავიღალე, მინდა მშვიდობა, მინდა სადმე თბილი მშვიდი კუთხე მოვსძებნო... მაინც უყვარვარ, თუმცა ეგოისტურად, მაგრამ მაინც ძალიან უყვარვარ. ოჰ, მარტოობავ და ბოროტებავ! ნერვებიც ამეშალა, ამიტომ სისულელეს ჩავდივარ. ბედმა მარგუნა კილია და თამრო და უნდა ვიცხოვრო, რათა იმათ ბედნიერება მივანიჭო. ვიმუშავებ, უარს ვყოფ სამუდამოდ ავისუფლებას და მარტოობას".

მაგრამ ვერ გაუძლო ქალმა ტანჯვას და ღუხჭირ ცხოვრებას. გაქცა კიდეც 1899 წელს, მაგრამ რომანოვსკიმ მოახერხა უკანვე დაბრუნება და შერიგება. 1900 წელს რომანოვსკი ნახიჩევანში გაუმწესებიათ მომრიგებელ შუამავლად, სადაც ცხოვრება გამოიცვალა. არამც თუ სმას მიანება თავი, თამბაქოზედაც ხელი აიღო. ამ დროს ლესკოვის ქალს თავის დღიურში ჩაუწერია; „აი, 4 წლის ტანჯულ ცხოვრების შემდეგ ახლა დამიდგა „თაფლის" თვე. მე აღარ გავიწევ ამ კუთხიდან, სადაც ასე ძლიერ უყვარვარ". მაგრამ ეს „თაფლის" თვე დიდხანს არ გაგრძელებულა. როცა რომანოვსკის მიუხედ-მოუხედნია ნახიჩევანში და გაუცვნია თანამოხელენი, ძველებურად დაუწყია სმა. ლესკოვის ქალს ეხლა უფრო უდიერად და უსამართლოდ ექცეოდა. ლესკოვისა სწერს თავის დღიურში: „განა შეიძლება იმ კაცის სიყვარული, რომელიც ერთხელ მაინც უნახავთ მთვრალი? იგი ტალახიანი პირუტყვია, რომელსაც ამ დროს აღარავითარი შეგნება არა აქვს და რომელიც ადამიანს ზიზღსა ჰგვრის თავის ქუთუთაქმევით? მაგრამ მე მაინც თავს ვიმაგრებ". სხვათა შორის მოწმეს სულინს უთქვამს, რომ რომანოვსკი ყოველთვის ჯიბეში რევოლვერს ატარებდა. ერთხელ სტუმრად სადილზე რომანოვსკის ლესკოვის ქალისთვის უთქვამს, თეფში მომაწოდეო. რადგანაც ქალს მერე თეფში მიუწოდებია და არა ის, რომელზედაც რომანოვსკიმ უჩვენა, ამ უკანასკნელს დაუღრიალნია: „შენისთანებს ცემა-კი არა, მოკვლა უნდა! ხომ იცი, მე შემიძლიან კიდეც გესროლ"! ამასთან რომანოვსკის უჩვენებია მარჯვენა ჯიბეზე, სადაც მუდამ რევოლვერს ატარებდა ხოლმე. ერთი თვის წინად მოკვლამდე ლესკოვს ჩაუწერია დღიურში: „ემობა მომბეზრდა: დროა, დრო გავათავო! ერთის თვის შემდეგ 26 წლისა ვიქნები, მე კი ისე ვიქცევი, როგორც პატარა მოსწავლე-ქალი. ან უსათუოდ უნდა დავიცვა ჩემი დამოუკიდებლობა ან უნდა წავიდე აქედან.. უნდა, დამითმოს და მაშინ დავრჩები იმასთან, როგორც თანასწორი ამხანაგი, ჩემის ბავშვების გულისათვის, ან არა და არ მინდა თავისუფლებას მოკლებულ და ხმა გაწყვეტილ ხასის მდგომარეობა ვიკისრო! მადლობა ღმერთს, რომ ეკლესიის წესით არ ვარ შეერთებული! იმას არა აქვს კანონით ჩემზე არავითარი უფლება". 1900 წელს, 14 სექტემბერს, მკვლელობის დღეს, დილით, რომანოვსკისა და ლესკოვის ქალს ჩხუბი მოსვლიათ იმის გამო, რომ რომანოვსკის 5 მანეთი დაუმალავს სადღაც. წაჩხუბებულნი შერიგებულან. შემდეგ რომანოვსკი ბოქაულ შუმოვთან წასულა, სადაც სადილზე მოწმეთა ჩვენებით მხოლოდ 5 ჭიქა ღვინო დაულევია. საღამოს 8 საათზე დაბრუნებულ რომანოვსკისათვის ტანთ გაუხდიათ და დაუწვენიათ. ცოტა ხანს შემდეგ საცვლების ამარა გამოსულა სასადილო ოთახში და ჩაი მოუთხოვნია. ბავშვებთან მყოფ ქალს შეუნიშნავს: „დაიკარგე აქედან, შე ლოთო, საზიზღარო!" და უბრძანებია მოსამსახურე გოგოსათვის, ჩაი არ მიეცა. რადაც საქმისთვის მოსამსახურე ქალი საწოლ ოთახში შესულა. ამ დროს გავარდნილა რევოლვერი. ლესკოვის ქალი სისხლში მოსვრილი კარებისაკენ გაქანებულა, მოსამსახურე ქალი შესულა და ხელი უტაცნია. ხმაზე შევარდნილა მზარეული მარქაროვი. რომანოვსკი უნახავს სტოლთან მჯდომარე, იგი არავითარს ყურადღებას არ აქცევდა სულთ-მობრძავ ქალს. მარქაროვი პოლიციაში გაქცეულა, სადაც რომანოვსკიც წასულა ცოტა ხანს შემდეგ.

მოწმეს ულიანა ხოპროვის ქალს რამდენჯერმე შეუცვლია ჩვენება. ხან ამბობდა, ქალმა თვითონ მოიკლა თავი, ხან რომანოვსკიმ მოჰკლაო. მარქაროვს უთქვამს, როგორც რევოლვერის ხმა გავიგონე, მაშინვე შევვარდი ოთახში. დაჭრილი ლესკოვის ქალი მუხლებზე დაჩოქილი იყო; იქვე დაჩოქილი იყო ულიანა ხოპროვისაც. რომანოვსკი შავს ტანისამოსში გამოწყობილი ლესკოვზე მოშორებით იდგა. როცა ვსთქვი: „ბატონო, რად მოჰკალით ქალბატონი-მეთქი?" არც რომანოვსკიმ და არც ხოპროვისამ პასუხი არ გამცეს. მაშინ გავიქეცი და შევატყობინე მაზრისს უფროსს. თვით რომანოვსკის უთქვამს, შუმოვიანთიდან მთვრალი დავბრუნდი, არაფერი არ მახსოვდა, და, ვგონებ, თვით ქალმა მოიკლა თავიო.

ამ მკვლელობის გამო მომრიგებელი შუამავალი რომანოვსკი პასუხის გებაში მიუციათ. ერევნის ოლქის სასამართლოს, როდესაც ეს საქმე განუხილავს, დამნაშავედ უცვნია იგი და გადაუწყვეტია ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 5 წლით გაგზავნა. ნიკოლოზ რომანოვსკი ოლქის სასამართლოს განაჩენზე არ დათანხმებულა და მისი გარდაწყვეტილება გაუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში. სამოსამართლო პალატა ამ საქმის განხილვას შეუდგა გუშინ, 7 დეკემბერს. ბრალდებულს იცავდა პეტერბურგის ოლქის ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ-ნი გრუზენბერგი. პალატა საქმის გარემოების განხილვა-გამოძიებას და ორის ექსპერტის ექ. ბადრიძისა და ერევნის გუბერნიის სამკურნალო ინსპექტორის ჩვენების ჩამორთმევას მოუნდა დილის 11 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ექსპერტებს, სხვათა შორის, ჩვენება ჩამოერთვა იმის გასაგებად, ლესკოვმა თითონ მოიკლა თავი თუ არაო. საღამოს 5 საათზე პალატას უნდა გამოეკითხა საქმის ვითარების გამოსარკვევად კიდევ ორის ახალის ექსპერტის რუტკოვსკისა და მაისურაძისათვის. რადგანაც ამ უკანასკნელთ ითხოვეს დრო საქმის გასაცნობად, ამიტომ პალატამ შესწყვიტა სხდომა და გადასდო დღეს, 8 დეკემბრის დილის 12 საათისათვის.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 დეკემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, 6 დეკემბერს, გატჩინის სასახლის ეკლესიაში ღვთის მსახურება გადაიხადეს; დაესწრნენ: დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, მემკვიდრე, დიდი მთავრები და დიდი მთავრინები.—სატახტო ქალაქის ყველა ტაძრებში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისები,—განსაკუთრებულის ამბით ისააკის ტაძარში. საიმპერატორო თეატრებში უფასო წარმოდგენები გაიმართა მოსწავლეთათვის.—მოსკოვიდან და სხვა მრავალ ქალაქებიდან დეპეშები მოვიდა, რომ პარაკლისები გადაუხდიათ.—6 დეკემბერი იდღესასწაულა გვარდიისკი ეკიპაჟმა დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის თანადასწრებით, ჟანდარმთა კორპუსმა და ლეიბ-გვარდიის მსროლელმა რაზმმა.—6 დეკემბერს დიდის ამბით აკურთხეს იმპერატორის ნიკოლოზ 1-ის სახელობის მუზეი.

სოფია. სახალხო კრებამ 50,000 ფრანკი გადასდო მაკედონიიდან გადმოსახლებულთათვის.

ლონდონი. სეფე—სიტყვაში აღნიშნულია ზომები მოლას ავაზაკობის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე მოხსენებულია სიძნელე, რომელიც აბრკოლებს ამ საქმეს და სიამოვნებით არის აღნიშნული ამ საქმეში იტალიის მხრით თავაზიანობა. ვენეცუელას შესახებ ნათქვამია, რომ ინგლისის ჩავილმა ინგლისელთა წინააღმდეგ თვით-ნებობით მოქმედების გამო, ორის წლის განმავლობაში უყურადღებოდ დატოვებულმა, აიძულა მთავრობა მოესპო ამისთანა მოქმედება. მთავრობა თანხმობით მოქმედებს გერმანიასთან, რომელსაც თვითონა აქვს საბუთი უკმაყოფილებისა. სიტყვაში მოხსენებულია აგრეთვე შანჰაიდან ჯარების გამოყვანის შესახებ შეთანხმება და ეთიოპიასთან საზღვრებისათვის ხელშეკრულობა.

7 დეკემბერი

ნოვოროსისკი. გამოვიდა ახალი ყოველდღიური გაზეთი „ჩერნომორსკოე პობერეჟიე".

ვაშინგტონი. საფრანგეთმა მიჰმართა ვენეცუელას ნოტათი, რომლითაც თხოულობს იმ ზარალის დაკმაყოფილებას, რომელიც საფრანგეთს მოუვიდა მას შემდეგ, რაც კასტრო პრეზიდენტად არის.

სოფია. ჩამოიტანეს ძეგლი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორისა—მეფე-გამანთავისუფლებელისა.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 28 წ.).

განცხადებანი

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზე ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . .	15 მ.
Riparia gloire de montpellier	10 „
Berlandieri კარნარევ ნიადაგისთვის.	30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris monticola 1000 მეტრი . .	5 „
Riparia gloire de Montpellier	3 „
Berlandieri . . . . , ...	15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.

(10—467 -2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—73)

ზ ი გ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

ვერის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**

ტელეფონი № 754. (წ.)

№ 4711

CAPTOL

„კაპტოლი"

საუკეთესო წყალი

თმებისათვის

თავის კანის გასაწმენდათ, გასაგრილებლად და ნერვების გასამაგრებლად. **ქერქლისა** და ქავილის და თმის დაცვენის წინააღმდეგი საშუალება; მომზადებულია მედიც. დოქტორის **ეიხგოფისა** ელბერფელდში.

„**კაპტოლი**" არ შეადგენს საიდუმლო საშუალებას.

ერთად ერთი ფაბრიკანტი

ფერდ. მიულგენსი

კელნი და რიგა.

მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი.

(მც. 5.—3)

ყოველგვარ

ხეხილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ალაგობრივი საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად, ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი უბრალო წერილებისათვის. „სკრა", კავკასიის რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი" წერილებისა: გორი, ფარს. იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები გაეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. (6—5)

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 декабря, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)